სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/46

ქ. თბილისი 30 სექტემბერი 2022

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ვახტანგ უგრეხელიძის სახელობის ქიმია-ბიოლოგიის შაბათის სკოლის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ნ" ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის სხდომის №16 ოქმის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, გიორგი ქვარცხავას სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-04/129 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-04/129 დადგენილება უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ვახტანგ უგრეხელიძის სახელობის ქიმია-ბიოლოგიის შაბათის სკოლის შექმნის შესახებ;

2. დამტკიცდეს ვახტანგ უგრეხელიძის სახელობის ქიმია-ბიოლოგიის შაბათის სკოლის დებულება;

3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების მე-16 მუხლს დაემატოს მე-5 ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ვახტანგ უგრეხელიძის სახელობის ქიმია-ბიოლოგიის შაბათის სკოლა“.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**